2024 წლის 9 თებერვალს ინსტიტუტის მუდმივმოქმედი სემინარის - „საინსტიტუტო საუბრების“ ეგიდით გაიმართა მორიგი სემინარი, რომელზეც საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო ხელოვნების კვლევის ცენტრის თანამშრომელმა, ხელოვნებათმცოდნე **ნელი ჩაკვეტაძემ** წარმოადგინა მოხსენება თემაზე: *„ატენის სიონის ფრესკული პორტრეტების იდენტიფიკაციისათვის - ახალი მასალები.“*

ატენის სიონის მოხატულობაში გამოსახული საქტიტორო რიგი დიდი ხანია იქცევს მკვლევართა ყურადღებას. მეფეთა პორტრეტების მიმართ ათწლეულების განმავლობაში არსებული დიდი ინტერესი შემდგომში საფუძვლად დაედო არაერთ მნიშვნელოვან კვლევას. მრავალრიცხოვან ნარკვევებში აზრთა სხვადასხვაობა დაგროვდა ფრესკული პორტრეტების იდენტიფიკაციასთან მიმართებითაც. სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში ატენი XI საუკუნის კედლის მხატვრობის ნიმუშთა შორის მყარად დათარიღებულ ერთ-ერთ საეტაპო ძეგლად არის მიჩნეული.

ტაძრის დასავლეთი მკლავის აფსიდის ჩრდილოეთი მონაკვეთის ქვედა პერიმეტრს შვიდი ფიგურისაგან შემდგარი საქტიტორო რიგი სრულად იკავებს. ახლადამოკითხული ქტიტორული წარწერებისა და ისტორიული მოვლენების გათვალისწინებით, შესაძლებელია, საქტიტორო კომპოზიციის შემადგენლობა ნაწილობრივ ასახავდეს სტეფანოზ ორბელის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ტექსტში ნახსენებ ანდერძის ფიცისდებას; ახლადგამოვლენილი მასალა ასევე ათვალსაჩინოებს, რომ ბევრად უფრო მრავალწახნაგოვანი იყო აღნიშნული ფაქტი და საქართველოს ისტორიისათვის რამდენიმე არსებით და ბუნდოვან საკითხს უკავშირდება. შესაბამისად, ფრესკული პორტრეტები 1155-1056 წლებში უნდა იყოს შესრულებული.

აღნიშნული საკითხები ჯერ კიდევ მოითხოვს დამატებით კვლევას და სამომავლოდ საფუძვლიან არგუმენტაციას. ახლადგამოვლენილი მასალების მიხედვით ფრესკული პორტრეტები ატენის სიონის ტაძრის სივრცეში მრავალმხრივ, ისტორიულ-კულტურული თუ სამართლებრივი საზრისით დატვირთული, ფიგურატიულად ასახული იურიდიული აქტის - სამეფო კარის ოფიციალურ პოზიციას და ერთგვარ მანიფესტაციას წარმოადგენდა.